



# აშუაპირი აბორაზი



№ 9


საქ. ცნვ. ქარ. ამხ



იგი ჩანგური აღიარა პარტებს  
უწინ რომ ნახად დაიკენებდა,  
ხან შეაძებდა მიჯნურს, ხან ვარდებს  
და შემდეგ მუდროდ განისვენებდა.

ჩემს სულს სწუერიან პრძოლა შედგო  
დაუნღობელი შურის ძიება:  
მკლავდენ ვერ ვუძღვნი სამაგიერო?  
ქართუელს არიდეს ეპიტება!

ხანლარე შანშიაშვილი. (საბო-მე)



## მომავლის ისტორიადან.

1915 წლის დამლევის ომში ჩაერია ევროპის დანარჩენი სახელმწიფოებიც; საბერძნეთიდან დაწყებული ვიდრე შვეიცია-ნარევრამდე.

1916 წელს ჩინეთშიც აისხა იარაღი და ბრძოლის ველზე გამოვიდა; წლის ბოლოს კი უკვე მთელი აზია იბრძოდა. ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები 1917 წელს ეკვეთა მტერს და თან საზღვრეთი ამერიკაც გაიყოლია.

1918 წელს მთელ დედამიწის ზურგს სისხლის ომეორი ასლიოდა და არ იყო ისეთი კაცთა ტომი, რომ ომში არ ჩარეულიყო.

მთელი კაცობრიობა ელექტისა და სისხლის ღვრის წყურვილია აიტანა, მშვიდობიანობა შორეულ წარსულის მოგონებას-ლა წარმოადგენდა და ომიანობა წესიერ მდგომარეობათ იქნა აღიარებული. ვინაიდან თითოეულ წლის განმავლობაში 20 მილიონი ვაკეცა იხოცებოდა და სახიზრდებოდა, 1930 წლის დამდგომს ბრძოლის ველზე 14 წლის ქაბუკები და 60—65 წლის მოხუცებიც გაიყვანეს.

ბრძოლის ველზე დაიხოცა ყველა პროფესორი, მეცნიერი, ტენიკოსი და მწერალი, განადგურდა და დანგრეულ იქნა უნივერსიტეტები, ლაბორატორიები, ქარხნები და სახელოსნოები, მოისპო მანქანები და სამეცნიერო იარაღები, გადაიწვა ბიბლიოთეკები და მუზეუმები და კაცობრიობის გონებისა და ნიჭის ნაყოფი გადაიხრცა დედამიწის ზურგიდან.

ელვის ისწრაფით მიჰქროდა კაცობრიობის ცხოვრება უკან, თავის ისტორიულ აკვანისაკენ და 20—25 წლის განმავლობაში სწორეთ ის გზა გიორა თავის წარსულისაკენ, რის გაკეთებასაც წინეთ რამდენიმე საუკუნე მოანდობა.

რაკი თოფ-ზარბაზნები, ტყვია-წაშალი და სხვა გაუმჯობესებული საომარი იარაღები გამოიღო, ახლის გამკეთებელი კი არაინ იყო, ისევ შვილდისარსა და შურდულს დაუბრუნდენ.

არა თუ აეროპლანები მოისპო, რკინის გზებისა და ორთქლის გემების ხსენებაც აღარ იყო. აღამიანები ნადირის ტყავით იმოსებოდენ და უმეტესათ ტყეებში იყვენ გახიზნული.

წერა-კითხვის საჭიროება გაჰქრა და საუკუნოებით შეკრებილი და გადმოცემული ცოდნა ამოიშალა კაცთა გონებაში.

1940-იან წლებში ომის ტინმა ცბრომა დაი-

წყო და აქა იქ ზავი ჩამოვარდა. ომიანობა რომ შეწყდა და მშვიდობიანობამ ყველა მოამარაგა, მთელი კაცობრიობის რიცხვი მის შესტოულ და შეადგენდა, რაც ომის დაწყებამდე იყო.  $\frac{4}{5}$  კაცობრიობა მოისპო: უმეტესობა ომმა იმსხვერპლა, დანარჩენი კი შიმშილმა და სხვა-და-სხვა სენმა.

კაცობრიობის ეს ნაბოლავია ასე განიყოფებოდა: თითო მამაკაცზე 4 დედაცაქი მოლიოდა.

ვინაიდან ქალთა ესოდენი სიჭარბე იყო და ვაჟების უმეტესობას ბაღლები და ომში დასახიზრებული კაცები შეადგენდენ, საერთო ცხოვრების მართვა-გამგეობაში და შინაურ ყოფაშიაც უჭირატესობა დედაცაქებმა ჩაივდეს ხელში და ქვეყნიერობა კვლავ უწყველს დროის მატრიაჩარატულს, ანუ ქალთა ბატონობის ხანას დაუბრუნდა.

დედაცაქთა პირველობას ის უწყობდა ხელს, რომ ხანგრძლივი ომიანობის დროს, უმამამაკაცობის გამო, მთელს შინაურ ცხოვრებას, მეურნეობას და სხვა ისეუშაოს ესენი უძღვებოდენ. ამან გაწერთნა და ისე მოაღონიერა დედაცაქი, რომ გადარჩენილი მამაკაცები ფიზიკურათაც ვეღარ უსწორდებოდენ მათ.

ახალმა მდგომარეობამ ახალი ფსიხოლოგია შეჰქმნა. დედაცაქების ბუნება ძირითადთ შეიცვალა: ჩვენი დროის მამაკაცების სიყოჩაღე, გამმელობა, დამოუკიდებლობა და შრომის ამტანობა შეუმუშავდა მათ. მამაკაცები კი, პირითი, უწინდელ დედაცაქებივით ნაზი, მორცხვი, სუსტი და უშწყო შეიქნენ.

შესდგა ამორძალთა მხედრობანი და გაჩნდა რაინდობის კულტი, ხოლო რაინდების როლს ახლა დედაცაქები ასრულებდენ, მათი აღმაფერთოვანებელი საგანი კი მამაკაცები იყვენ.

მეოცე საუკუნის მიწურულში განვილი ომიანობის მომსწრებია აღარ მოიპოვებოდა და მათთან ერთად გაჰქრა მოგონებაც უწინდელ კულტურისა და გონებრივი სიმალლისა.

ამ მოგონებასთან ერთად საბოლოოთ გაწყდა კავშირი წარსულთან და კაცობრიობამ თავისუფლათ ამოისუნთქა: გონებრივი მუშაობა, სწავლავანათლოებისთვის ზრუნვა, წერა-კითხვის ცოდნაც კი ახლა არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენდა და აღამიანის ცხოვრების შინაარსი მხოლოდ არსებობისთვის პირველყოფილ ბრძოლითა ბუნებასთან ფიზიკური ბრძოლით განისხვლებოდა.

ამისდაგვართ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის ყოფა-ცხოვრება დაახლოვებო-



შემდეგი იყო: ცხოვრობდენ უმეტეს ნაწილათ ტყეებში და გამოქვაბულებში, იკვებებოდენ ნანადირევით, ნედლი ხილეულითა და ბოსტნეულით და მთელი მათი დრო და შრომა ბუნებასთან და ურთიერთ შორის ბრძოლას უნდებოდა...

დღეისან გასტანა დედაცათა ბატონობის ხანამ და ამ ეპოქის განმავლობაში არავითარი წინსვლა კაცობრიობას არ დასტყობია, ვინაიდან დედაცაი, ისტორიულ პირობების გამო, მოკლებული იყო შემოქმედებითი მუშაობის უნარს. ის კი არა, კიდევ უფრო დაიხია ადამიანთა მოღვმის ყოფა-ცხოვრებამ და კვლავ დამკვიდრდა კანნიბალიზმის, ესე იგი კაცობრიობის ხანა და გამოქვაბულებში ბინადრობის პერიოდი.

როცა მატრიარხატის ხანამ განვლო და ცხოვრების სადაფე ისევ მამაკაცებმა ჩაიგდეს ხელში, ძლივს ოდნავ გაუმჯობესდა მდგომარეობა, ვინაიდან ქვის იარაღების გაცეთება მოახერხეს და ამით ცოტათი მიინც ვაადვილეს ბუნებასთან ბრძოლის პირობები.

ქვის პერიოდს ბრინჯაოსა და რკინის პერიოდი მოჰყვა და შემდეგ კაცობრიობის ცხოვრება იმავე გზითა და თანდათანობით წავიდა წინ, როგორც წარსულის ისტორიით ვიცით...

თაგუნა.



დეპეშები.

სუმბათოვო. ადგილობრივ ბაზარზე სანოვგას ფასმა საგრძნობლათ დაიწია: გორვანქა ხორცი ამ ეკამთ 4 მან. ფასობს, ნიახული ხაშურიდან ჩამოტანილი კონა 1 მან. 60 კ., ქინძი ბორჯომიდან ჩამოტანილი—1 მ. 30 კ შაქარი არ იშოვება, დანარჩენი სანოვავე თბილისის მაზანდაზე იყიდება.

უცნობი.

მატყაფი. ადგილობრივი საფერშლო პუნქტის ფერშალი იოსებ თუშმალიშვილი—„დობტურ იოსებად“ ცნობილი, რომელიც ამ ერთი თვის წინად დაგვიკარგა, სრული ცხრა დღის ძებნის და თქვენ პატივცემულ „მათრახში“ გამოცხადების შემდეგ,

როგორც ექნა ვიპოვეთ. განუახლებელი იყო სიხარული და აღტაცება, მაგრამ ვერა მოესწრო ეს ჩვენი ბედნიერება მეტად ხან-მოკლე განსტყობა. შაბათს, 20 ივნისს, დრო იხელთა და კვლავ გავგვებარა. დღეს უკვე 25 ივნისია, და ჯერაც არ დამარუნებულა... ვაი ჩვენს უბედო ბედის წყრომას... რა გვეშველება...

„სობტურის“ უგზო-უკვლოდ დედაცათ დამწუხრებული და გულ დამწვარი ლუსკა ჟუჟუნელი.

სოფ. ქვალონი. ბიბლიოთეკა-სამკითხველო მოულოდნელად ავით გახდა. წამლობს ფერშალი ევ. ბაქრაძე.


ახალ-სენაკი. ღამის 9 საათზე პოლიციამ აღუა შემოარტყა პ. დგებუაძის წიგნის მაღაზიას. ჩხრეკამ ღამის 12 საათამდე გასტანა. აღმოაჩინეს აუარებელი: აფიშები, რვეულები და მთავრობის მიერ აღკრძალული წიგნები (სახელდობრ: ევ. მაკალათიას ლექსთა კრებული და არსენას ლექსი). ესენი ყველა პოლიციამ წაიღო, მაღაზია დაკეტეს თვით დგებუაძე დატუსაღებულია.

პროვინციელი ჭინკა.

გურული სცენა

ქორწილი.

იტყვიან ერთი ცხვარი, რომ გადავარდება წყალში, ყველა ქე გადაყობა მასო—გურულებიც ასე შობა. წიფესო ერთი ქორწილს და ყველაი აპირებს წიფესოს. სხვა დროს კიდევ ხო, ქორწილი თუ ხარჯს არ დაუფარავდა ქე შინც ერთს შენს მოყყერებს ნახავდი, ერთს გაძღებოდი, ერთს წიქიფებდი, მარა სა უნდა გვაქყიროთ თვალი, ახლა რომ ქორწილს ვიხდით? ვინაა ახლა ქეიფის გუნებზე, ან ვის აქვს ახლა მისალოცავი ფული. ყოლიცაი მშიერია, ყოლიცაი მტიროლია, ყოლიცაცს შავი აცვია და ამ დროს ადგება ვინცა ტვენ ნანჯაყვები, გაატატაშებს ენას, გაპტრელებს წერის ქორწილი მაქ (იმ ციკლის შარშანის წინ, რომ გავათხუე და ორი კვიცი ყავსო) და „მობრძანებითა შენითა განამზიარულე ჩემი ოჯახიო!“ ისე გამზიარულდა მტერის ცოლი და შვილი რავაც მე ვარ ახლა მზიარული. როის ვინ დამწვავს რა



ვიცი, როის ვისი ტყვე ვიქნები არ ვიცი, რა დღეს რომელი ბაღანას სიკვტილს შემიქხადიებენ არ ვიცი, ქალ-ბაღანას სული რებით ჩუუპურო იგი არ ვიცი და ქორწილში მეწვიეო. ამფერ კაცს, დასტურ თუ მისი მოყვარე ხარ, კი უნდა ეწვიო, მარა საქორწილო გატენილი ფიშტოით კი არა, კაი სახორცებელი ბაწრით, კარგა მავრა უნდა შეკა-ქო და მიგვარო თოხბაძეს, რომ დააბას და გადარეულის წაშლი ასვას. მე ჩემი მოკლე ჰკუთი ასე მითქვამს, რომ ახლა ვინც ქორწილს შობა იგიც დასაბამია და ვინც მას ეწვევა იგიც. ქორწილი, ცეკვა, თამაში, სიმღერა და ჭეფი მაშინაა კაი როიქხა ამის ხასიათზე ხარ თვარა ცალი ყბით ჭეფი ვის გუუგონია. ბაღანებს პირში სული ამაწვეა-ლა, იგინის საქმელი ლუკმა შენ მოგიტანო და აგია ჰკლა? ნეტა მაინც შენ წაადგებოლეს ჩემი ბაღანების ნაცოდვაო, იგიც ვაჭარს უნდა მიუტანო და ამიზა მცალა მე ახლა? ვერ მოგართვი პატარ-ფანი. საუკუნოთ რომ დამეკარგო სამტრო სასიცოცხლოთ რომ გადამეცილა ახლა ქორწილში არ გეწვიეო და ტირილში კი ხეფსი რომ არ ამაღებო მაინც არ დაგაკლები, იგიც კი ვიცი აი ტირილი ღმერთმა, რომ ავაშოროს იმ კაცის ყუშპარა მაინც არ ავაშორებს.

პიტნა.



# მოსსენება

ღიღი ჯიხაიში. (მიბაძკა ილიასი).

ჩვენისთანა ბედნიერი,  
განა არის, სადმე ერი?  
მისთვის ძუნწი, სხვისთვის უხვი,  
მორჩილი და კუქ მზეერი.  
ყრილობაზე ყველა მუნჯი  
თავ-მოხრილი, მადლიერი,  
მუდამ შრომა, მუდამ ჯაფა,  
და ცოლშვილი შინ მშვიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი,  
განა არის სადმე ერი?  
სტარშინა გვეყავს მიკიტანი,  
მიკიტანი—სულიები,  
მწერალი კი მეწვრილობანე  
მოვაკურ და მანკიერი.  
ამისთანა ბედნიერი,  
ვინმე არის სადმე ერი?  
წამო ბოქო ტარშინასთან  
ბოთლებში—ცარიელი,  
სულიებს ნუ მოვიმღვრებთ,  
ყველა გვეყავდეს მადრიელი.  
ღუქანია, სავაქროა,  
ვერ მიხვალ ხელ ცარიელი,  
ბელიც იმას გაუღივებს,  
ვინც ღვინით, ვყავს მადლიერი.  
ჩვენისთანა ბედნიერი  
კიდევ არის სადმე ერი?  
გთხოვთ ეშმაკო, გამოგზავნოთ,  
აქ მათრახი განიერი.

კიკოლა ბიჭი.

კახეთიდან. (ძველი ვაგაზი).

„ახალ მათრახის“ მეცხრე ნომერში  
რეგვენთ ვურჩევდი მორჯულებსა!..  
და დროს ვაძლევდი... (მივცე ნუგეში,  
რომ არ მივსციმდი დავიწყებასა).  
ოი, ვასრულებ ნანაპირებსა  
და მოვახსენებ ჩვენსა სარდალსა,  
რომ გულზე მოხვდათ ცნობილ პირებსა...  
შორს გაურბიან ჩვენს სამართალსა!  
გაბრაზებული იმუქრებოდენ,  
შემოგვითვალეს ლანძღვა-გინება,  
გაფაციკებით დამწერს ეძებდენ,  
(სიანს მოეწონათ ჩვენი მზილება?!)  
გვაქვს მიღებული მხედველობაში,  
თავს რად იწუხებს „მიხაკ-ელია“?!  
ვინც ვაგებება ეშმაკის მახეს,  
ყველა დარჩება მადლობელია!  
„ამიზბევანც-კაჩარინსა“  
მადა ქანქარის ვაპლვიძებია...  
ერთს შელოცავში მანეთსა იღებს,  
(მათრახის კულის საბოძებია).  
ქვალსა, დამწვარსა, თვლის ტკივილსა,  
რო შეულოცავს... ემეკნილია!  
კია მორეთულს, გულისა ხივლის,  
ასე ამბობენ—მოუგრილია!



მუწუკი-იარის გამოსარჩენათ  
 „ანო“ მოითხოვს ბატსა და იხვსა...  
 ხორს თვით მიირთმევს და მხოლოდ წვენით  
 მალამოს აძლევს ჩვენებურ ბრიყვსა.  
 „ელიამ“ გემცნო: „კახიძეებსა“  
 შეუსწავლიათ მისგან ნაშუსი...  
 „კოლა კრუხიარს“, „ლომიძეებსა“  
 (კოცნით უყლაპათ ქართველი-რუსი  
 შაბიამანი (შარშან მისული)  
 ნასყიდი ჰქონდათ ფუთი თუმანში. .  
 სარდაფში იყო გადაშალული,  
 ესლა ჰყიდიან ფუთს სამ თუმანში.  
 „გველოს“ და „ჯიმშოს“ გაუწყრათ ღმერთი!  
 შიპარს გვაძლევინ — ორ აბაზათა,  
 (შიპარს, ვიჩივლოთ რომელი ერთი?)  
 ნაეასკ — გირვანქას სამ შურათა.  
 „მიხაკეტურკა“ მუდამ ღვინშია. .  
 ფასი ასწიეს ფარჩულზედა;  
 მიტამ ჩვეცივდით ვისაქირშია. .  
 ღამის დავიხრჩოთ, გავსკდო გულზედა!  
 აჩრდილი.

**ნაძალადევი.** ჯოჯოხეთის მფლობელი ეშმა-  
 კო! მაქვს პატივი გაუწყოთ: ჩემს რაიონში სრული  
 ისწყნარება. ნარდ-დომინოს თამაში ქუჩებში მოის-  
 პო, მხოლოდ კარტის ოპერაცია გრძელდება სახ-  
 ლებში ღამის სამ საათამდე. რადვან პური თან და  
 თან ძვირდება აქაურ მებურვეებს განუზრახავთ წო-  
 ნაში ხელი დაახმარონ, იქნებ ამით იხსნან სახო-  
 ვადობა მოსალოდნელ შიმშილისაგან. ქუჩებში  
 ნაგვით მგზავრობა თითქმის მოისპო. ისეთი დარე-  
 ბი რომ დაეჭირო მოსალოდნელი იყო ჩერქეზოვის  
 სრუტეში გერმანიის წყალქვეშა ნავებს ეჩინათ თა-  
 ვი. სამკითხველო ავთ არის. ამ დღებში გაუკე-  
 თებენ ოპერაციას. ვაქრები ამზობენ: ქრისტემ ბრძა-  
 ნა ორი ჰერანგი რომ გვეყვას ერთი სხვას მიეცო.  
 აქაურ მცხოვრებს ოთხი პერანგი აცვია—პალტო,  
 ტუტურკა, ხალათი და ღამის ჰერანგი, ორი უკვე  
 გახადეთ, ორსაც რომ გავაძრობთ მაშინ იქნება  
 ქრისტეს მცნება შესრულებულიო.

**შენი.**

**სოფ. მარტყოფი.** (თბილისის მარა : წასულ  
 კვირას აქ ერთი მეტათ სენსაკიური ამავე მოხდა:  
 როდესაც ახალგაზრდა ინტელიგენტთა ერთი ჯგუ-  
 ფი, სამკითხველოს წინ შეკრებილი, ჩველებრივად  
 უსაქმოდ ლაპარობდა, ვინაც ოხუნჯმა შემთხვევით

ისარგებლა, ერთ მთვანს ქული მოსტაკა და სამ-  
 კითხველოში შეუღო. მკსვე მწერს (წითელი  
 მარტყოფის ინტელიგენცია და მწერს) იმის  
 შესახებ, თუ როგორ დიხსნან ქული ბევრი თავის  
 ხეთქისა და რჩევა-დარღვების შემდეგ, გადასწყვი-  
 ტეს, იხელმძღვანელონ სტრატეგიული მოსაზრებით  
 და ქული სამკითხველოდან არ გამოიტანონ, ხოლო,  
 რომ შემდეგშიც არ გაეზრდეს ამისთანა ამაღლე-  
 ვებელი და შესაძრუნებელი ამავეი, სამკითხველს  
 სრულიად არ გაეკარონ სიახლოვეს ეს დღეგნი-  
 ლება დიდის აღტაცებით და ავამას“ ძახლით მი-  
 ღებულ იქმნა ერთხმად.

**ჯიუტიტო.**

**სამეგრელოდან.** ბიძია ეშმაკო! ნუ იტყვი  
 ვითომ ჩვენ არ გვეყვდეს სასწაულთ-მოქმედი. რაკი  
 ტყეშალი ჩვენში ერთობ გამოილია, რომელიც  
 მეგრელებს სიმინდის, ღომის ჭავიერობას უწევდა,  
 ბ-ნ გ. ქ-რამდე გამოიგონა, ან უკეთ ესთქვათ ილო  
 მოაჩინა ერთ ნაირს საცევი რომელიც ფუთი 1 მ.  
 3 კ. ფსაობს. მთელ ოჯახს ერთ თვეს უოფნის  
 ფუთი; თუ გინდ 12 ხული იყოს ოჯახში. შეგ-  
 რელებმა მას სახელად სიმინდი დაარქვეს. (ალბათ  
 ჩვეულებრივ სიმინდის მეტი სიყვარულით) როგორც  
 ზრდილიდან მეცნიერი ექ. ბაღრაძე, სენაკიდან  
 ხოფერიან და ქუთათისიდან ექ. ბაღრაძე ამტკიცებენ,  
 საერთოდ აღებული ამ საცევისა რამოდენიმე ნა-  
 წილი ვითომ სიმინდსა ჰგავს, ნაწილი ქვასა და  
 ზოკიერთ ნაწილის სახელი ჯგრაქ საიდუმლოებით-  
 თა მოკული. ამიერიდან მეგრელებს თამამთ შე-  
 უძლიან იამაყონ ბ-ნ გ. ქითა ამ შესანიშნავ პი-  
 რობების შესახებ საჭიროა ხმა ამოიღოს ექ. ივ-  
 გომარაშვილმა, როგორც ექიმმა და თანაც კრიტი-  
 კოსმა.

**პროვინციელი ჭინკა.**

**სოფ. შილდა.** (კახეთი).  
 მაქვს პატივი მოგახსენოთ --  
 ჩვენი შილდა ღამაზია! --  
 მასებრ კოხტას ვერსად ჰპოვებთ,  
 გინდ მოიაროთ აზია.  
 განაპირა ბილიკ-გზები  
 გამშვენიერებულია...  
 ყოველ ფეხის გადადგამაზე  
 ტლაპო\*) დაგუბებულია.

\*) ტლაპა გახლავთ მშვენიერათ გათქვევლი სქელი  
 ტლაპი, (სტრანელიანნი ნიუთიერებთ შეხავებული) რაშიც  
 ადგილობრივი დასიხული ღორები, არჩინათ ზანაობენ.

სიბნელე და უმეცრება  
 ხალხში გავრცელებულია,  
 მკითხავი და ცრუ ეჭმი  
 მითი გამდიდრებულია.  
 მამა-პაპის ადათ-წესი  
 ჩვენში მტკიცეთ დატულია,  
 თეთრ გიორგში სალოცავათ  
 ხალხი მრავლათ ვასულია.  
 მკითხავების ჩაგონებით  
 ყველა დარწმუნებულია:  
 ხატი შველის აეთამყოფსა,  
 საწირავ მოგვლებულია.  
 ხატებმაც თუ ვერ გვიშველეს  
 არ გავგიტყუდება გულია,  
 საეჭიმო ასპარესზედ  
 „სამსონიკა“ ქებულია...  
 მის წამლები არვის გვაწყენს,  
 ტკბილათ შეზავებულია;  
 სამასალოთ მურაბები  
 „ნუშკოს“ გაკეთებულია!  
 ქალთა სნეულობისათვის  
 ეს ვარვისი მკურნალია...  
 ნახარშ გვირილისა წვენი  
 გვარიანი წამალია!

აქ კულტურა ძლიერ ყვავის,  
 ბერი განათლებულია...  
 და რუსული ლაპარაკით  
 თავი გაბრუებულია!  
 სამკითხველო (კარიელი)  
 სულ ყოველ დღეს გახსნილია,  
 ხოლო, ცხვირ წინ მოედანი  
 „დამკავალრით“ გავსილია.

აჩრდილი.

სოფ. ჭაგანი. საკითხი აღძრა:

— ქელები მოვსპოთო,  
 მით შა-ბედ ცხოვრებას  
 მალაშო მოვცხოვოთო.

რა ეს გაიგონეს  
 ამხედრდენ ლოთები,  
 ბახუსის მოძმენი  
 და პატრიოტები.

ეკვეთენ მშრომელ-ჯგუფს,  
 ჰქმნენ აყალ-მაყალი, —  
 ვნახოთ ვის შერჩება  
 ხელთ პრასა დამპალი.

ჭაგნელი ბზიკი.

სამეგრელოს გმირს.

იცნობს მთელი სამეგრელო  
 ტანს აცვია ანაფორა,  
 დღე და ღამე „საქმიანობს“,  
 არ გვეგონონ მუჭთა-ხორა.  
 ცალ ხელში აქვს სახარება  
 მეორეში სიბრძნის თორა,  
 ცის და მიწის კანონები  
 ჯიბის კანონს ვაუსწორა.

გამგე ვახლავს ერთი სკოლის  
 პედაგოგი ჯვაროსანი,  
 ყოველ დარგში უბადლოა  
 კურთხეული ხელოსანი.  
 ემპაჩიის საბჭოს წევრებს  
 მისი შიში აფრთხობს ძველი,  
 რადგან იგი არვის ინდობს,  
 ყველას შხამავს როგორც გველი.  
 თანამშრომელ მასწავლებლებს  
 აღარ აგდებს თითქმის ჩირად,  
 რადგან, ურჩებს, თავის ნებით  
 ქე აძევებს ხოლმე ხშირად.


უჩა.

ბ.ბ. ლანიჩ-ჭაგნის ბაზარი.

ღანიჩ-ჭაგნის ბაზარსა,  
 (არც კოცხალსა, არც მკვდარსა)  
 ბლომათა ჰყავს ბატონი  
 და არაეინ პატრონი.  
 გადის შვიდი წელია,  
 (უსარგებლო მწველია)  
 ბაზარი არ იზრდება,  
 ვაჭრობა კი მცირდება.

იფშუეკება ღუჭენები,  
 (შიგ ვაჭრები მსუქნები)  
 ცრემლებითა დნებიან  
 უნუგეშოთ კვდებიან.  
 ბაზრის მეთაურებმა  
 (წიკელით შესახურებმა)  
 ხალხს გააძვრეს ტყავები,  
 (თვით გასუქდენ სვავები).

ჭაგნელი ბზიკი.





# პატარა ფელეტონი.

მ მ მ მ მ.

(იგავი)

„Что дѣломъ, не сведя конца,  
Не надобно хвалиться“.

კრილივი.

სამი ძმა იყო. სამივეს  
სიმწროსა ოფლი სდიოდათ,  
დიდ ჰამას იყვნენ ჩვეულები—  
ვერ მიდიოდენ იოლათ!

მათი ოჯახი გაფტქენილი  
უფინდიკო და ფუტურა,  
არ იქნა მათმა ოფლის ღვრამ  
საესებით ვერ დააპურა...

დიდი შრომითა, წვალებით  
ებრძოდენ დუბჭირ ცხოვრებას,  
ერთმანეთს ნდობით შესტყერდენ  
ფიქრობდნენ გამოსწორებას.

ერთ მათგანს ერქვა არჩილი  
მეორე—იაკობია,

მესამეს კიდევ დავითი—

(უნტროსი, ხელ-შემწყობია).

ყველა ერთპირათ საქმოდენ

არ ჩანდა უთანხმოება,  
მაგრამ ეს იყო ცოტა-ხანს  
შემდეგ იცვალა დროება:

არჩილმა აღარ ინდობა  
თვის ძმებთან მოღვაწეობა,  
ჯერ იაკობი იფრინა—  
მერე დავითის მზეობა!

იფიქრა: „ძმებთან ერთობით

საქმეს ვერ მოვადგარებო,  
მარტო დავრჩები ოჯახში  
და წესრიგს დავაყარებო“.

მან მიჰყო ხელი ფართიფურთს  
შრომობდა დღით და ღამითა,  
მაგრამ თანდათან ჩამოხმა  
კუქს ვერ იძღობდა ჰამითა!

მეზობლებს გადაეკიდა—  
სწამლავდა გესლით, შხამითა,  
თან ყოყოჩობდა ძმებთ შორის  
თავი მოქონდა ამითა:

„ხომ ხედავთ, როგორა ვიბრძვი  
ოჯახის დასაცველათო,  
ჩემი ასეთი გმირობა  
არვის უნახავს ძველათო!

როცა ჩვენ ერთათ ვიყავით  
ურთ-ერთას მისაშველანო,  
მტრებს ჩვენკენ თვალს უჭირათ  
დასამზობ-დასაქცევლათო...

ესლა-კი ხმას არ იღებენ  
ნაკლებთა მყავს მტერიო,  
ერთი სჯობია გულადი  
ვინემ ლაჩარნი ბევრიო“!

და ასე, ყველა ცალ-ცალკე  
საქმობდენ ღვიძლი ძმებია,  
არც ერთს „უფინდიკა“ არ ჰქონდათ—  
ჰამა-სმა შესარგებია!

ბოლოს ერთმანეთს ჩაკორტნეს  
მთლათ აერთათ გზებია,  
(იგავი ესე ნამდვილი  
ადვილათ გასაგებია)!

ალბურინი.

## სასტეკი მსჯავრი.

(ანეგდოტი)

რუსი, ფრანგი, ინგლისელი და ებრაელი შე-  
იკრიბნენ.

უნდა გადაეწყვიტათ შემდეგი საკითხი: როგორ  
დაისაჯოს იმპერატორი ვილჰელმი, გერმანია რომ  
დამარცხდება და კაიზერი ტყვეთ ჩაგვფარდებო.

რუსმა სთქვა: ყველას აჯობებს, საუკუნო კა-  
ტორლა მიუსაჯოთ და სახალინზე გავგზავნოთ სას-  
ჯელის მოსახდელათო.

— ეგ არ ვარგაო, განაცხადა ფრანგმა: ისევ  
ჩვენი ჰალაქების გამანადგურებელ ცეპელინში და-  
ვამწყვედიოთ ჰქაერში გაუმვათ: დღე იბეტილოს ცის  
სივრცეში, ვდრე შიმშილით სული ამოხდებოდესო.

— არაო, ჩაერია ინგლისელი: ჩავსვით წყალ-  
ქვეშა ნაეში, დავცეტოთ და ზღვის უფსკრულში  
ჩაენარცხოთ. დღე იმავე, ნავმა დაჰლუპოს, რო-  
მელმაც ჩვენ ამდენი სახედრო და სავაჭრო გემები  
დაგიღუპაო.

ებრაელმა გულიანათ გაღიხარა:

— განა ეგ სასჯელია? თუ მართლა დასჯა  
ვინდათ, მიეციეთ ებრაელის პასპორტი და გაღშეთ  
რუსეთში საცხოვრებლათო.

მოსე თოიძის გამოფენაზე.

ქალებო, გონს მოდით!



**გერონტი ქიქოძე.** ...ჩვენს ხელოვნის ყველაზე მეტათ ქალების გამოხატვა ეხერხება. ისინი სუმბულივით ნაზნი და თავდახრილნი არიან. ოცნება და ვნებათა ღელვა მთელ მათ სხეულშია გამჯდარი, მათი არსება კი უცნაურად მომხიბლავი და სურნელოვანია. \*)

\*) ალბათ სურათზე საღებავისაგან.

ეშმაკი.

**ვ. რუხაძე.** ქალებო, გონს მოდით! ნუ გახდებით უმეცრების მსხვერპლნი. ძირს ცარცი და თუნდა „კოქსის უმარული“, გაუმარჯოს „ბოდლოს“ საპონს. ხედავთ, როგორ ჩინჩავს ცარცი თვით უმაგრეს ტომარას? წარმოიდგინეთ რას უზამს სახეს!...

P. S. ვთხოვთ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას უფასოდ გააწვდეს სახეს ეს საინტერესო სურათი.

ეშმაკი.





## მისტპირული

აბა ელია მელია  
 ცხოვრება გახდა ძნელია,  
 აქეთ თათარი მოგვადგა  
 იქ ავსტრო-გერმანელია,  
 იქ იმას, აქეთ ამასაც  
 აშლიათ საღერტელია.

ამბავს სოფლისას ნუ მკითხავთ  
 ცრელი მდის უშრობელია  
 სამეგრელოს და გურიას  
 თითქმის რო მოწყდა წელია.  
 ჩვენი აკაკი ჩხენკელი  
 კი დროს ზოგველია  
 კოტ-კოტას ყველას აძლევენ  
 ვინც მიაწვდინა ხელია.

მომავლისათვის ყანები  
 ნახევრად უთესელია  
 გაისათ ვარეს მოელის  
 ვისაც მიყობა წელია,  
 ეს შიმშილობა ოხერი  
 რა ძნელი გასაძელია.

სულის მამებზე ჩამოდგა  
 ეშმაკო, ჩემო, ჯერია  
 დღე და ღამ ხატის წინაშე  
 ის პირჯვარ დანაწერია,  
 ჰკითხო: ხალხისთვის ვწირავო  
 სჯულის წიგნაკში წერია  
 დრამა ფულისთვის მათ ცოლ-შვილს  
 სულ მთლა დაუფსეს კერია,

ჩახურისპირელი.

მ. ბ. ს.

„ეშმაკის მათრანის“ ხელმძღვანელთაგანი ბ.ნი თავუნა.

საავტოროთ გამგზავრების გამო. სურათი გადაღებულია ბორჯომის ხეობაში.

# კორესპონდენტის პედი.

ვალდელი ერთ მოქმედებათ

(გუძღენა „მათრახის“ კორესპონდენტებს).

## მოქმედნი პირნი:

პეტრე ლევილიაჲ—კორესპონდენტი 25 წ.

ნესტორი—პეტრეს მეგობარი 27 წ.

პეტრუხე მიკრატუმიჩი—ვაჭარი 40 წ.

სირანუშა—პეტრუხას ცოლი 43 წ.

ქერქეძაძე—პროვინციელი აქტიორი 32 წ.

თავადი მანუხარ—პრაპორშნიკი 55 წ.

თავადი მურხაყან მწყერაძე— 35 წ.

ევროსინე—მაჰანკალი 45 წ.

ლალიკო—გაზეთის დამბარებელი—20 წ.

მოქმედება სწარმოვებს პროვინციალი.

## I.

პეტრე, შეზღუდ ნესტორი.

(სენას წარმოადგენს პეტრეს თათას. თათხა ღაძრი-ბუჯათაა მოწოდებოდა. „გუშეტას“, რამდენიმე გაფანტუ-ლი სკამბა და სპეწერლო მავიდა. მავიდა უწნაღ-გაზუ-თებთათაა სავსე. პეტრე მავიდას უხას არ სწერს. ფარ-ღის ასღის შემდეგ მავუხა. ისმის კარკების რახუნა).

პეტრე. მობრძანდით, მობრძანდით!

ნესტორი. (თავს შემოეთუფს კარკებში და აქეთ-იქით იყურება). მარტო ხარ?

პეტრე. ოჰ, ნესტორ, მოდი კაცო, მოდი. როგორ უცხოსავით იყურები აქეთ-იქით!

ნესტორი. სიფრთხილეს თავი არ ასტკივია. რა ვიცი იქნება უცხო გყავს ვინმე და ჩემებურათ რომ შემოგვგლიჯინდეს არც ის ივარგებს.

პეტრე. ვინ უნდა მყავდეს! ცოლი მე არ გა-მანჩნია და შეილი.

ნესტორი. რა ვიცი, კორესპონდენტი კაცი ხარ და შეიძლება რომელიმე შევთვალა ბარიშნა, კავალისიგან განაწყენებულნი საღლსარებოთ იყოს მოსული მეთვის, მომეროდა. კაცნი ვართ, იქნება სიყვარულის კამბეჩისა შენც გავიფრინა და უდროო დროს რომ ხელი შეგიშალა ხომ ჩავდექი შენ ცო-ლოში.

პეტრე. „მელას რაც აგონდებოდა ის ესიზმ-რებოდაო“. შენა გგონია, როგორც შენ დაწყებები კუღში იმ შევთვალა ბარიშნებს, ისე ვარ მეც!

ნესტორი. (სიბავადი) არა, შენ ნუ მომიკვდე-ბი, შენ კი ხელს დააკლებ! გაშლილი ზონტიკი რომ დაინახო, ქალის იუბკა გგონია. სხვა, პეტრუ-ხა გაიოსქიმე გაზეთში თუ არა?

პეტრე. გაზეთში კი არა, კორნალ „მათრახში“ გავგზავნე მის შესახებ წერილს და დამეცატირა. მგონია დღეს იყოს დაბეჭდილი.

ნესტორი. (გაგვირგებუდა) რაო, კარიკატურაო! (იფანის) ხა, ხა, ხა, ხა! ბიჭო და ხომ გადგასახ-ლებს. სახლში მოგვივარდება და მოგეთვლავს, არ უნდა ლაპარაკი.

პეტრე. იმის მოთელილი კაცი შევარცხვინე. კაცს კრუხისა ეწინიან, ნესკარტი არა მკრასო და ის გაჰმედავს რასმე!

ნესტორი. რა ვიცი ტრახახობდა: „ერთი ცუ-ცია მუშტი ვიციო და ვისაც დავაფარებ მირონში, ტერტერა ზიარებას ველარ მოასწრებო.“

პეტრე. სიტყვა რომ არა ჰქონდეს, ხომ თავ-ვები მოიტაკებდენ და სოროში შეამტერენდენ. არა, თუ ძმა ხარ, განა მავისთანა ჩარჩების საქელი დისამაღავია? წარმოიდგინე მაგ ჩარჩმა ისარგვლა შემთხვევით და თვრამეტ აბახიანი შაბიამანი ოც მანეთად გაყიდა. უარესის ღირსია ეგ გაუმამღარი წუმელა ეგა!.

ნესტორი. მე კი ვერ გაუძლებ პეტრუხას გი-ნებას და შენ იცი. ვიცი დღეს აქ ნამდელი ომი იქნება. (იფანის).

პეტრე. არაფერიც არ იქნება. რას გაიგებს რომ ჩემი გავგზავნილია!

ნესტორი. იმინ კი არა მთელმა პროვინციამ იცის, რომ შენ აგზავნი აქედან კორესპონდენტციებს. ყველას შენზე აქვს ეჭვი, პროვინციაშია, ჩემო პეტ-რე, არაფერი დაიმალება. ხელთან გადასცემენ ტუ-ლეგრამას ერთმანეთს. (იფანის) აბა, ახლა შენი წიწვა ნახე! აღარ გინდა რომ იმის დუქისი წინ გაიარო? ზედ ტროტუარზე წამოგაქცევეს და იმდენს გირტყამს, რომ ერთიც ვერ დასთვლო. მერე ცო-ლიც თუ წამოშეველა. აბა სერიო მაშინა ნახე.

პეტრე. ბიჭო, ცოლს რაღა საქმე აქვს ჩემთან!

ნესტორი. ყურუხასლო, ქმარს უღანძღავს, სა-ქვეწოთ თავსა სჭირი და მას მოგიწონებს! (იფანის) ხა, ხა, ხა, ხა—თუ დაგეტაკა ის რუმბივით დედო-კაცი, ნამდელით ბაზრის ბოლოში გადაგისვრის, ხუმრობა ხომ არ არის, იმ უხარამაზარი ყუმბარის დატაკება! (იფანის).

პეტრე. რა ვქნა, რაც იძნება, იქნება. (მავუხა) რა ამბავია რომ დღეს გაზეთმა დიგვიანა! (მოამბის ლადიკოს შმა: გაზუთი, უწნაღი, ტუღეკრამა, ცხელ-ცხელი.) ოჰო, ლადიკოც მოდის!



II.

პეტრე, ნესტორი და ლადიკო.

**ლადიკო.** (შემოადის ქაჭნით. შურნაღ—გაზეთე-ბა უჭირაფს ხეღმა) ოპ, რა ამბავია!

**პეტრე.** (ღაღავას) რა იყო, რატომ დაიგვიანე.  
**ლადიკო.** რას ჰქვიაან დავივიანე! ერთი აღუ-ზაურია ბაზარში.

**პეტრე.** რა მოხდა, აღარ იტყვი!

**ლადიკო.** ჩვენი ვაჭარი პეტრუხა ბრახისაგან კბილებს იგლეჯს. მიინც და რანაირათ დაგიმახინჯებია ბატონო, ის კაცი! ნამდვილი მაიმუნიო ღმერთმანი. ცოლი გემუქრება, ბატონო, ცოლი. (აჭაფრებს) ერთი აქეთ ვამაიაროს ის შანტეკლორის კავალერბა და ჩემი ქალობა გაქრეს, თუ ზონტიკი არ დაემატებოდა თავზეო.“

**პეტრე.** (ღაღავას) მაჩვენე ქურნალი. (გამოართმევს შურნაღს. ნესტორა და პეტრე სინჯაგუნ და იცინან).

**ნესტორი.** (გაღახსრებს) შენ ამოგავდებს ღმერთი. ეს რა გიქნია კაცო! (ნახტეპზე უჭეწებს) ბიჭო, ეს ცხვირია თუ კურტანი?

**პეტრე.** (ღაღავას) ვის აბრალებს პეტრუხა, თუ იცი?

**ლადიკო.** ვის აბრალებს კი არა ნამდვილათ სახლში მოგივარდებათ. სულ იმ მშვიტი პეტრეს ბრალიაო იმახისი.

**ნესტორი.** (ღაღავას) როგორ, ლადიკო, პეტრუხას ცოლი რას ამბობს, ზონტიკს დავამტყვევო?

**ლადიკო.** (გაჭაფრებით) თქვენ უნდა ნახოთ როგორ იწყველება! (აჭაფრებს) ოცეხლათ უქციოს ფეთხანის მადლმა ჩემი კაკლის მურაბაო. ქა, უყუარეთ იმ ბუნტაგვიკ პეტრეს ეს რა ოინი უქნიაო!“ არ ვიცი, არ ვიცი, ბატონო პეტრე, თუ ახლა პეტრუხას გადაურჩით, კარგი ვაქაცობა უნდა! სი-ცაა ახლა აქ გამოჩნდება და აბა ვინძლო მაგრა დახვდეთ (გაღას. კუფისებში ისმის წმა): გაზეთი, ქურნალი, ტელეგრამა, ცხელ—ცხელი ამბები!

III

პეტრე და ნესტორი.

**ნესტორი.** (სიცილით) როგორაო, პეტრე, რას გიმახის ის დედაკაციო? შანტეკრელის კავალერიო, ბა? (აჭაფრებს) ოცეხლათ უქციოს ფეთხანის მადლმა ჩემი კაკლის მურაბაო დიდი უპურმარო კაცი ხარ ჩემო პეტრე. ის ქალი მურაბით გიმასპინძლდება და შენ კი ასე გადაუხადე! აბა ახლა შენი ქონრის გოჯინახე

**პეტრე.** ეგ არიფერია, პეტრუხას დე მისეო ცოლის გაწყრომას ვაუძლებ, მაგრამ შენვეს ქაჭნის, ჩემო ნესტორ, რომ მთელ ბროვინციას ეგეში შეიყვანს იმათი ყვირილი. რამდენი კორესპონდენციები მქონდა დღესამდელი ამა თუ იმ პირზე და მართალია ექვი კი ჰქონდათ ჩემზე, მაგრამ და რაწუნებით არ იცოდენ თუ მე ვაზეთებში წვრილებს ვათავსებდი. ვხლა კი მავ ჩარჩ პეტრუხას ყვირილზე ნამდვილათ დარწმუნდებიან და გადამასახლებენ აქედან. აბა ვნახოთ ყოველ დღიური ვაზეთები, შეიძლება დღესაც იყოს რამე მოთავსებული. (სინჯაგუნ ორფენია).

**ნესტორი.** ბიჭოს, ეს რეცენზია აქედან არის! ვისია პეტრე?

**პეტრე.** (ღაღავას გაჭყოს) ვისია და ჩემი. დასწყველოს ღმერთმა რაღა დღეს მოუთავსებიათ. აქეთ პეტრუხა, იქით ჩვენი თავ ცარიელი არტისტი და სცენის მოყვარეები, რომელ ერთს ვაუძლო!


**ნესტორი.** ვაგწიწენ პეტრე არ უნდა ლაპარაკი. (სიცილით) აბა შენი უღვაშების გლეჯა ნახე ახლა (გაჭყოს გათხუჯობს).

**პეტრე.** შენ ისა სთქვი მანუჩარას თუ ვადაურჩი. ხომ იცი ბებერი პარაპორშიკი ბრძანე? ას და ყვირილს ჩვეულია. იმის ღრილს ვინ ვაუძლებს!

**ნესტორი.** მერე შენ ახირებული წერა იცი, ჩემო პეტრე. კაცი შეგივრცხენია და თავი მოგიპრიცა. ხუმრობა ხომ არ არის! რომ წაიკითხავს ქარებიანი და ბუასილიანი მანუჩარიო, ვადაირევა, მაშ რა მოუფა კაცი თავს იჯეილებს, ქალებში არ შეიკობს და შენ ქარებიანს ეძახი. (ფუხის წმა ისმის) აბა მაგრათ იყავ, მაგონი ვილაო მოლის შენ საჩაუბრათ. (შემოადის პეტრუხა).

(შემდეგი იქნება).

გოგია



# გულს ნუ მოიყვან!

და

# გულს ნუ გაიტმს!

— შენს შვილს გულის სისუსტე აქვს. სიწყნარე, დამშვიდებული ცხოვრება პირველი წამალია. ეცადეთ, უბრალო რამეზე გულს ნუ მოაყვანიებთ. დარბაისელი კაცის კილოთი უთხრა დავით ექიმმა ივანეს, როცა ამ უკანასკნელმა ეზოს კარებამდე მოაცილა იგი და დარცხვენით ხუთ მანეთიანი ქაღალდი ჩაუღო ხელში.

— ვეცდები ბატონო, განა მეტი რა გამაჩნია, რომ მაგასაც არ მოგვირიდო და არ გაუფრთხილდე. განა ახლა კი არ ვერძლივით?

— მაშ ევრე, ეცადე, ეცადე!

—

— აი შვილო, შენ რომ გიყვარს უბრალოზე შეგებუკრება და გულის მოსვლა. ექიმმაც სწორეთ ესა სთქვა: რაც შეიძლება ნაკლებ მოიყვანოს გული, უბრალოზე ნუ ვაცხარდები, დამშვიდებული ყოფნა პირველი წამალია. დაიჯერე შვილო, ეცადე არაფერზე აღელდე, საწყენს მოერიდე. ისეთს, რაც არ გესიამოვნება ნუ გაიფიქრებ. შეიძლება გინმე უნებურათ კიდევაც გაგაჯავროს, მაგრამ შენ ყურადღებას ნუ მიიქცევ. ექიმი ტყველით ხომ არ იტყოდა, მოსვენებული და მშვიდი ცხოვრება ესაქიროვნაო. ჩვენ ყველანი ეცდილობთ...

— მამა, დამანებე თავი, არ შემიძლია მეტის ატანა, არა...

— კარგი, კარგი შვილო! მიმაშენს თავისი მწუხარება ალაპარაკებს, შენ გენაცვალოს დედაშენი. ერიდე შვილო უბრალოზე აღელვებას. ვითომ რა გაკეთდება, რომ შენი ხელით სიცოცხლე შეიპოვონო. საწყენს მოერიდე შენ გენაცვალე. ექიმს ჩვენოდენა ქვეა თითის ფრჩხილებში აქვს.

— მეც მზავს არ ვაშობ? ის ქვეიანი კაცი გირჩევს არ აღელდე, უბრალოზე გული არ მოიყვანოო, წყნარი, დამშვიდებული ცხოვრება საჭიროო და შენ კი არ გინდა შვილო სასარგებლო რჩევა დაიჯერო. მაშ რისთვის მოვიყვანე, თუ რასაც დავგარიგებს არ დავუჯერებ და ჩვენებურათ მოვიქცევით. ძნელი მაინც იყოს ასრულება. იყავი, შვილო შენთვის წყნარათ, მშვიდობიანათ; რაც არ გესიამოვნება იმას ყური მოარიდე. ჩვენ რაც შეგვიძლია ხელს შევიწყობთ და მიზეზებს არ

მოგცემთ გაჯავრებისას. თუ კი მარტო წყნარ ცხოვრება...

— მამა, იწამე ლეოთი, მომასვენე ცოტა მომშორდი, მომშორდი. სული მეხუთება...

— კარგი შვილო, კარგი აღარაფერს გეტყვი შე უბედურს მინდა კარგათ მყავდე, მალე მორჩევი რღვი ამომიღდე. განა ამისთვის არ მოგიყვანე ექიმი, ამისთვის არ მივეც უკანასკნელი გროშები მაშ როგორ იქნება თუ მის დარიგებას არ მიიქცევთ ყურადღებას, თუ თავს არ გაუფრთხილებ და წამ და უწამ უბრალოზე გაანჩხლდები, გაბრაზდები? ამით ხომ უფრო იმოკლებ დღეს და ღუპავოჯახს? მე, შვილო, უბედური მამის გულისტყვილი მალაპარაკებს. როგორ არ გითხრა, რაც სათქმელია და რასაც უნდა მიიქცო ყურადღება. თუ თავის თავი არ გვინანება უბედურ მშობლებს მაინც მოგვხედე; რა დღეში ვართ. ეცადე შვილო, ეცადე უბრალოზე გულს ნუ მოიყვან. სიწყნარე ყველა ავთამყოფს სჭირია და ვისაც გული აქვს სუსტი იმას ხომ უფრო. ექიმი მართლა სულთამხუთავი ხომ არ არის. მისი დარიგება ისე უნდა შევას...

— მომშორდი სულთამხუთავო, მომშორდი, მიშველეთ... მიშვე...

ავთამყოფს გულის ცეპამ უმატა, სახე გაუფითრა. კანკალი დააწყებია და მიიბინდა

— მიშველეთ, ვინ ხართ ქრისტიანი, მიშველეთ, სასოწარკვეთილებით იძახოდა საბრალო ივანე.

— ვაი ჩემს უბედურობას, ვაი ჩემს სიცოცხლეს რა ვქნა ქრისტიანებო, არაფერი არ ვაღივს არც ექიმი, არც დარჩება. მუდამ ამას ველაპარაკები: გაუფრთხილდი, უბრალოზე გული არ მოიყვანო, წყნარათ, იცხოვერე მეტი, მაგრამ არა, ეს უბედური მაინც ძალით იმოკლებს სიცოცხლეს, თავისი ხელით იკლავს თავს...

—

სამი თვის შემდეგ ივანე უკვე შავებში იყო შესულრული. ის თითქმის არავის აღარაფერს ეუბნებოდა, ინსტიტუტურათ თუმცა საქმობდა ოჯახში და მიუხედავად დიდი დანაკლისისა გულს იმედს მაინც არ აშორებდა. მეზობლებიც ჩვეულებისამებრ ანუეეშებდნენ მას:

— ნუ გეშინია ივანე, მართალია დიდი უბედურობა დაგატყდა, ოჯახი თითქმის გაგინახვერდა მაგრამ კაცმა ყველაფერს უნდა გაუღო. დამწუხრებული თანაგრძნობის კილოთი უთხრა მას ერთმა მეზობელმა.

— ცხოვრება ასეთია, ჩემო ივანე, დღეს ერთს



# გ ო ს ტ ა

დაანგრევს, ხეოდ მეორეს ააშენებს. შენ დიდი, ძლიერ დიდი უბედურება გეწვია, მაგრამ უნდა გაუძლო. ვინ იცის ქვეყნის საქმე. გულის გატეხით ანა საქმეს რა ეშველება. დასძინა მეორემ.

— დიდებული შვილი დაგეკარგა და ოჯახი დაანგრევს გზაზე დაგიღდა, ძამია, მაგრამ ვეცაო-ბაც ის არის ასეთ დიდ ვასაქირს გაუძლო ქეთფში ყველა კარგი ბიჭია. უთხრა მესამემ.

— შენ ხომ არა ხარ, კაცო, პირველი, ან უკანასკნელი? რაც ქვეყანა არსებობს მას შემდეგ ასე მოდის ჩვენი ცხოვრება. ერთი მოკვდება, მეორე დარჩება. შენს ოჯახს საშიშარი მები დაეცა და დაანგრევს უქადის, მაგრამ მოიკრიბე ვეცაოება, გაუძელი ვასაქირს. უთხრა მეოთხემ.

რაც დრო გადიოდა ივანეს მეტი დაღვრემილობა ეტყობოდა. ის თანდათან რწმუნდებოდა; თუ რა უნუგემო მდგომარეობაში იყო ჩავარდნილი და თითოეული გამამხრევებელი სიტყვა ახალ საბუთს ასახლებდა მისი უმწეო მდგომარეობისას.

მეოთხე თვეზე ივანე ლავინში ჩაწვა. ის აღარავის კითხვაზე პასუხს აღარ აძლევდა. სანახავად მოსული მეზობლები თუმცა კვლავინდებურათ ანუ-გეშებდნენ:

— გულს ნუ გაიტებს, ივანე, ღმერთი მოწყალება, შვილი მოგიკვდა, სამაგრეროთ ამდენი მიწა-წყალი გაქვს, ცხოვრებას მაინც გამოაკეთებო.

მაგრამ ივანეს აღარ ესმოდა მეზობლების დარიგება და გულის გასამაგრებელი სიტყვები. ის ჩუმათ, სადღაც გულის მიყრუებულ კულტულში გრძნობდა, თუ როგორ მსუნაგური მაღლი შესცქეროდენ მოსაზღვრე მეზობლები ივანეს ვრცელსა და მდიდარ უქირისფლო მამულს.

გრძნობდა მაგრამ ის აღარავის პასუხს არ აძლევდა.

ემმაკი.

**ქუთაისს. ბიკენტის.** (კირაკოზოვის კედელზე წასწერათ). თქვენი წერილი მივიღეთ. „გოქი“ გაგვექცა. დაქერა ყოვლად შეუძლებელი გახდა.

**ლუღას.** ქეშმარიტათ, დაუსრულებელი არა არს რა ქვეყანასა ზედა და სამი ღლის განუწყვეტლივ კითხვის შემდეგ თქვენი ლექსის დასასრულსაც ველირსეთ. ასე ათავებთ:

„ჩემი კალამი წერ-გესლიანია  
არ დაისვენებს მანამდე,  
კაცთა ყლელა და სისხლის ღვართქაფი  
არ გათავდება სანამდე“..

თქვენი თხზულება რედაქციამ ვილქელმს გაუგზავნა. თუ პირობას არ უღალატებთ და „კალამს დასვენებთ“, დარწმუნებული ვართ, კიხური დაუყოვნებლივ ზავს ჩამოადგებს.

**ბორჯომი. ს. კ—ს.** თქვენი ცნობა შეუმოწმებლათ არ დაიბეჭდება: ნ ქიკა ჩიიში ნ მანეთი აელთო—ყოვლად შეუძლებელია, თუნდაც ბორჯომში და ამ სიძვირის დროსაც. თითო ქიქის ექვსი აბზი მოსდის. გთხოვთ გვაცნობოთ: რა გემოსი იყო მაინც ეს ექვს აბაზიანი ჩიი?

**ოზურგეთი. კერპს.** გაფიცებთ ცოლშვილს (თუ გყავთ), დედ-მამას (აგრეთვე თუ გყავთ), პატრონებს (თუ გაქვთ), თქვენ ღმერთს (თუ გწამთ) —თავი დამანებეთ! აღარ შეგვიღლიან! ვერ აუველით თქვენი კონვერტების ხსნასა და ხელთნაწერების კალთვი გდებას... გევედრებით მოიშალეთ ეს საძაგელი ჩვეულება და დაანებეთ თავი წერას! მზათა ვართ კერპთაყვანისმცემელი გავხდეთ და ყოველდღე მსხვერპლი შემოგწიროთ ხოლმე. ოღონდ შეგვიბრალეთ!

**ნეტარხენებულს.** თქვენ გვპირდებით: „ჯერ-ჯერობით ეს იყოს და მერე უფრო კარგებს გამოგიგზავნიო“.

დალოცვილო, „აზირ“ უფრო კარგებით და გეწყო არ ჯობდა? არ დაიბეჭდები.



# გზონაჲ.

## „ფეხ მძიმე მხედრები“.

კარგა ხანია ქურნალ-გაზეთები გვაუწყებენ: მტრის ჯარში ქალებიც იღებენ მონაწილეობას. ვინაიდან ვეთა რიცხვა საგრძნობლათ იკლო ჩვენ ეს არ გვჯეროდა, მაგრამ ახლა არ შეგვიძლია არ ვირწმინოთ, ვინაიდან უნიკიტრესი ქართველი მწერალი ი. დათიაშვილი სწერს ქურნალ „თეატრსა და ცხოვრება“-ში:

„ფეხ მძიმე დანებებულა მტრის ბანაკს მოწყვეტილი ხუზარა მხედარი და დეანავულ თოფს კონდახით ნაჯიჯგნ მწიწხუ დაატარებდა“.

ჩვენ გვაკვირებს მხოლოდ ერთი გარემოება: რათ უნდა **ფეხმძიმე** მხედარს „შავი რაში“ და ისიც „ცეცხლის მფრქვეველი“? ის არ ურჩენია სამშობიარო თავშესაფარი ინატროს?

## აკაკისებური(?)

ქუთათურ გაზეთ „სამშობლო დედის ძუძუს“ დამატებაში (№ 17) მითითებულია „აკაკისებური ლექსი“. ვინმე ლაერენტი წერეთლისა. სხვათა შორის იქა სწერია:

„ვინც ქართულათ ლაპარაკობს  
განა ყველა ქართველია?  
ნახევარი, თუ არ მეტი  
ქრისტეს მცნების მგომბელია“.

საქართველო არ დაუფიცებს ია ეკალაძეს ამ უბადლო მგონის აღმოჩენას მაგრამ,

ვინც ქართულად ლექსებსა სწერს  
განა ყველა აკაკია?  
ნახევარი, თუ არ მეტი  
მათში მხოლოდ ბაკაკია.

## „თავრიზის სსახლე“.

ჩვენ წინეთაც გვქონდა აღნიშნული, თუ რა დიდი მწიფეობა აქვს მტრის თვალის ახვევას ამ ომის დროს. ეგრემანელები, თურმე, ტყეებს კოფავენ, ხეები სხვაგან, ტრიალ მინდორში გადააქვთ და ეგრე უცვლიან სახეს ადგილებს. გაზეთი „სამშობლოც“ ალბათ ამ მოსაზრებით აცხადებს აგერ ერთი ხანია:

„ღმერთები შეიკრიბენ თ ა ვ რ ი ზ ი ს სსახლემში,  
როძიანკომ განაცხადა... თ ა ვ რ ი ზ ი ს სსახლეს გამო-  
ცოცხლება დეტყო და სხვა...“

ხერხი ჩინებულია. მკითხველთა რომელთა თვალსაზრევით ასე უცვლიან სახელებს ტფილისის სასახლეს, განციფერებული რჩება და ფაქრობს: როგორ მოხდა, რომ ჩვენი დემუტრე კ. ჩხეიძე ჩვენ პეტროგრადში, სახელმწიფო დუმაში გაავაზანენთ და ის კი თავრიზის ნაჯუმენში გადასულაო. ქეშმარიტათ დიდი მოხერხებული და მცოდნე ხალხი ზის „სამშობლო დედის ძუძუსში“.

ყოველდღიური საზოგადოებო, სამეცნიერო და საღატურატურო გაზეთია

## „თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ.  
ადრესი: ფულის და წერილების გამოსავაზანი; Тифლისь почт. яш. 199 Евгению Илларионовичу Урушадзе.  
კანტრია: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

## ყოველდღიური საღატ. და საზოგადო. გაზეთი „სახალხო ფურცელი“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ. 3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.  
ადრესი: Тифლისь, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. яш. 190

ყოველდღიური გაზეთია

## „საქართველო“

ფასი წლის დამლევიმდე 5 მანეთი „კლდის“ ხელის მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული აქვთ გადახდილი, გაზეთი გაავაზანებათ 1 მკათათვემდე.  
ადრესი: Тифლისь, Московская ул. № 4.  
რედაქტორ-გამომცემელი  
სანდრო შანშიაშვილი.

საზოგადოებო და საღატურატურო გაზეთია

## „თ ე მ ი“

გაზეთი გამოდის ორშაბათობით  
ფასი: წლით 2 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 1 მ. 25 კ. ცალკე № 5 კ.  
ადრესი: Тифლისь, Ольгинская ул. № 4

ყოველკარგული საღატრო და საღატურატურო ჟურნალია

## „თეატრი და ცხოვრება“

ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 10 კ.  
ადრესი: Тифლისь, Ред. „Театри да Цховრება“  
Иосифу Имедашვიли.



ყოველ თვეური სემპეცადო ნასტებანა ჟურნალა

# „ჯეჯილი“

მცირე წლოვანთათვის და მოზრდილთათვის  
ფასი: წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ. ცალკე № 40 კ.

აღრესი: Тифлисть, ред. Журнала „Джелжили“  
Артиллерийская ул. № 5.

დასურათებულა სემპეცადო

# „ნაკადული“

წლიურ ხელის მომწერლებს შეეცმათ

24 წიგნი ნაკადულისა 12 წიგნი ნაკადულისა  
მცირე წლოვანთათვის მოზრდილთათვის

ფასი: ორივე გამოცემისა წლით 5 მ. ნახ. წლ. 3 მ.  
ცალ-ცალკე მცირე წლოვანთათვის 24 წ. 3 მ.  
მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ.

აღრესი: Тифлисть, Ред. „Накадули“ Голов. просп. № 8

გოლოვინის პროსპექტისა და სამხედრო ქუჩის კუთხეში

# გაიხსნა ახალი აფთიაქი გაქრლამ ახვლედიანისა.

შუშუნა

# ჩვენი გემო

კვანცი

„ჩვენი გემო“-ს ქარხანა გადავიდა ჩერქეზოვის ქუჩაზე № 38.

კვასი მზადდება ზირველ სარისხოვან მასალისაგან და ნადუდა წულოთ. სისუფთავე ქარხანაში საუც-  
ხოვოთ დაცულია. ამზადებს დიდა ხნის დაკვირვებული და პრაქტიკის მქონე მოსყვე. გემო და  
სუნი მეტათ სისამოვნო აქვს.

ვისაც სურს დალიოს ნამდვილი პურის კვასი. მოითხოვოს ყოველგან „ჩვენი გემო“ და  
არ აურიონ ის სხვა ფირმებში. კვასი „ჩვენი გემო“ კიმიურ ლაბორატორიისაგან გასინ-  
ჯული და მოწონებულია.

გთხოვთ პირდაპირ დაწეროთ.

„სამაგანტკეალ თობაფაე ამბაღაბ“

## იყიდება გასული წლების ჟურნალები:

- 1) „ეშპაკის მათრახი“ 1908 წ. 34 ნომერი 2 მ. 50 კ.
- 2) „ეშპ. მათრახი“ — 1909 წლ. 34 ნომერი — 2 მ. 50 კ.
- ორივე წიგნი ერთად შვენიერი უღით ეღირება—6 მან.
- 3) „მათრახი“ 1910 წლის 33 ნომერი—2 მ. 50 კ.

- 4) „ალმანახები“ 1909 წლის 10 ნომერი—50 კ.
- პროვინციაში მსურველთაგან გავგზავნე-  
ბა ჩვენის ხარჯით ვინც წინ და წინ  
გამოგზავნის ფულს ან ფასდაღებით  
გაიწერს.
- აღრესი: Тифлисть, Типография  
Шрома, Теофили Болквалдзе.

## ბრძოლა სადგურისათვის.



მუნიციპალიტეტის რაზმი მოულოდნელად თავს დაესხა ლარჯიელებს და მოსტაცა მომავალი რკინის გზის სადგური. ბრძოლა სწარმოებს სადგურის დასაბრუნებლად.

1 მისიდან ქალაქ თფილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

# „განათლება“

ჯერ-ჯერობით აგენტებს გვეგზავნება შემდეგი გაზეთები: „თანამედროვე აზრი“, „ეშმაკის მათრახი“, „თები“, „თეატრი და ცხოვრება“, ქუთათური „ახალი კვალი“, „კავკასკოვ სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „შშაიკი“ და „ხათაბალო“.

აგენტები ვალდებულია მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდა-წინ გადაიხადონ. წინააღმდეგ შეზღვევაში გაზეთები არ გვეგზავნებთ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифლის, почт. ящ. № 96, Сильвестру Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: ოლგინსკაია, № 6.